წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო

მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი N1

ქ. წყალტუბო 31.03.2021წ

სხდომას ესწრებოდნენ მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები: მანანა ჩიხლაძე, ინგუშა აბესაძე, ანზორ ბაბუნაშვილი, რომან კუხალაშვილი, ხათუნა მაღლაკელიძე, დავით მესხი, მარინა ჭავჭანიძე; ასევე მუნიციპალიტეტის მერი - გრიგოლ იოსელიანი, მერის პირველი მოადგილე - ზურაბ მაისურაძე, მერის მოადგილე - ალექსანდრე დადუნაშვილი, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - ვახტანგ ნადარეიშვილი, ამავე სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილების უფროსი - ნათია გახოკიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

გ.იოსელიანი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს მდივნის შესახებ.

გ. იოსელიანი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: მუნიციპალიტეტის მერის ინფორმაცია მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ. მუნიციპალიტეტის მერმა გრიგოლ იოსელიანმა, მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს მანანა ჩიხლაძეს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისათვის და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში საბჭოს თავმჯდომარედ ასარჩევად წარმოადგინა საბჭოს წევრის - ინგუშა აბესაძის კანდიდატურა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მანანა ჩიხლაძემ, რომელმაც მიმოიხილა საანგარიშო პერიოდში მრჩეველთა საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა და მერიის ხელმძღვანელობასა და საბჭოს წევრებს

მადლობა გადაუხადა თანადგომისათვის. მანვე საბჭოს წევრებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ გამოცდილი პიროვნების ინგუშა აბესაძის კანდიდატურას.

ანზორ ბაბუნაშვილმა, დავით მესხმა, ხათუნა მაღლაკელიძემ, რომლებმაც ვრცლად ისაუბრეს წარმოდგენილი კანდიდატურის - ინგუშა აბესაძის გამოცდილებაზე, ავტორიტეტზე, ღვაწლზე და მზადყოფნა გამოთქვეს მხარდასაჭერად.

ინგუშა აბესაძემ, რომელმაც მადლიერება გამოხატა მის მიმართ გამოჩენილი ნდობისათვის და ყურადღება გაამახვილა იმ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებაზე, რაც მრჩეველთა საბჭოს მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ეკისრება.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ, ღია კენჭისყრის საფუძველზე, ერთსულოვნად არჩეულ იქნას ინგუშა აბესაძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერის გრიგოლ იოსელიანის ინფორმაცია.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ინგუშა აბესაძემ, რომელმაც საბჭოს განსახილველად და ასარჩევად შესთავაზა საბჭოს გამოცდილი წევრის მარინა ჭავჭანიძის კანდიდატურა.

ხათუნა მაღლაკელიძემ და მანანა ჩიხლაძემ, რომლებმაც თანადგომა გამოუცხადეს ახლად არჩეული თავმჯდომარისა და მდივნის ასარჩევ კანდიდატურას.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას მარინა ჭავჭანიძე.

მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარე ი. აბესაძე

მრჩეველთა საბჭოს
მდივანი მ. ჭავჭანიძე